

F 24
1838



სამეატრო

საქონალ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელსა

№ 17

მაისის 22.

გაზეთი დირს: ერთის წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. ნელის მოწერა მიიღება: თბილისში, რედაქ. კანტორაში. ფოთში ბესარ. კალანდამესთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: Тифлисъ, въ редакцію газеты „ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება: თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; და ბ-ნ ხიდდეველთან—გოლოვინის პროსპექტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საქირობა მოითხოვს წერილებს რედაქცია შეასწორებს, რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.
ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

თბილისი, 21 მაისი.


ბიძი ჩემის უბის წიგნიდამ.

როგორც წინა წერილით მოგასახსნეთ, მე მსურს გაზიარება იმ ფაქტებისა, რომლებსაც ბიძი ჩემის უბის წიგნიდამ ამოკითხსამ.

ახა, ვისაც გსურთ, უური დამიგდეთ.

ამ კვირად დიდი მოძრაობაა თბილისში. თავად-აზნაურობა ჩამოიხსენდა ქალაქში. გაუგიათ, რომ ბანკის გამკეობას ფულები დაუსწრჯამ... თავად-აზნაურობის დაუკითხავად. მთელი კეთილშობილება სმლებ დალესილი მიეშურება ყოველ დილით თეატრში, სადაც ურილობა არის...

წერ-წერობით ვეკლას ერთი და იგივე აზრი უტრიალებს თაქში. ვეკლას ამბობს: ჩვენ დაუკითხავად ჩვენი ფულები დასწრჯეს, მაშა სადამე... მანსური და მანდური არა მკითხეოდა. არა-რა გაძა.



მართლებელ საბუთებს აწვიან უკლებს უურს, მაგრამ... მაგრამ თითო-ორი-ორი წსიტევა მართალია შეაზარეს ყრილობის ყურებს. გამოვიდა, რომ ბანკის მმართველობა დიდი მადლობის ღირსიც-გი ყოფილა: ფულები დაუსარჯამ, მაგრამ ისე დაუსარჯამ, რომ იმადენს სარგებელი მოაქვს, რამდენაც სიზმარშიაც კი ვერ ეს-წმობდა ამ ფულების პატრონებს, თუ რასეცაღ დასარჯვს, იმ შენობის გადაკეთება არა ყოფილიყო,

... აქ უნდა მოგასწავლოთ, რომ იმ შვიდმა ფინანსმა, ერთად შეკრულმა და შიგ მ-მა შებმულმა კალო ვერ გალენა, რადგან ამათი კუკრი მოცუვითი კონსებით იყო მოჭედილი, თუმცა კი წინ მაგალი მკტად ენერგოულად ამტკიცებდა, რომ ყველა დაწესებულება სადაც ის კვლარ შემკობალა—გაუქმებულ უნდა იქმნეს; რომ უნდა გაუქმდეს ის დაწესებულება, რომელსაც სარგებლობა მოაქვს იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც ზოგნი მათგანი სუღით და გუღით კი არ ეკუთვნის—მაღათ ეტმასნების, რადგან ეს ტმასნება აკმაყოფილებს მათ თაგ-მოყვარობას...

სხირებული კაცი, ე ბიმა წემი! ხეტა რომელი შვიდი კაცი რდილობდა ან მღვრივე წყალში თვეის დაჭერას, ან ბანკის დაკეტას.

ამავე გვერდზე სწერია.

„სამშაბათს, კრებამ გადასწვიტა მიერეს შემწეობა სათავად-ანაურო სკოლას, მეურნის“ რედაქტორს 600 მან. წელნიადში და, თუ ფული იქნება, წინამძღვარინათ კარის სკოლას და თელავის „ს-კედნიას“. შემდეგ გადაწვიტა, რომ დრამატულ საზოგადოებას თეატრის ქირა დაუგლონ, მაგრამ... ვაი იმ გადაწვეტას. თ. ნ. ამ-ტუნი, რომ არა ყოფილიყო, ისე თქვენი მტერი იყო, როგორც ესლად ეს საქმე იქნებოდა: ერთმა ბრძენთა-უბრძენებმა ექიმმა „და-მტკიცა“ (?!)... რომ თეატრი საზოგადოებასა ჳრუენის და შემ-წეობის მიტემას როგორ გაუბეღათო; სამმა თუ ოთხმა შექსპირ-მა... ტაშიდ კი დაურა ამ გადარ... (სასელი თქვენ დაარქვით) და... რაღა და, რომ დრამატულ საზოგადოების კომიტეტს თი-თქმის უარს უთსრა კრებამ შემწეობაზე. შემდეგ ადგა ნ. ამტუ-ნი, ორი-ორი სიტყვით შეესო თეატრის მნიშვნელობას; თქვა, რომ,

როგორც ვატარებთ ისეთი სკოლა საჭირო, ისე ჩვენთვის თვატრი და მოთხროვა მიეცათ შემწეობა. ამასაც ტაში დაუტრეს (საკვირველ არიან საქმენი დაუღუჭავად მელანაკების) და გადაწვიტეს მიეცეს შემწეობა 1000 მანეთით.

... აქ უნდა მოგახსენოთ, რომ თუმიცა დრამატ. საზოგ. თხოვნა ცხრა კაციისაგან იყო ხელმოწერილი, მაგრამ, ამ ცხრაში, არც ერთი არ დაფიქრებულა იმაზე, თუ როგორ გამოხატონ თავიანთი თხოვნა. კომიტეტის ორმა წარმომადგენელმა, წევრმა კიდევ უზახუს ბ. ჭავჭავაძეს, რომ ფორკატტი თუ არ დათანხმდება ქირის დაკლებაზე—მასთან ხელშეკრულობის ქალაქი დაარღვიოთ; ის ვერ მოეფიქრებინათ, რომ ამ ურიგობას ბანკი არ ჩაიდენდა და უარს ეტყოდა. ისა? ის, ბრძენი ექიმი?!.. ამის შემდეგ კიდევ იტყვიან, არა ქართველებსო!! ვაჰ, ვაჰ, უგანათლებულესო ემსწვილო!!!...“ ნეტავ იმ ფარესს რომლის კარებიც ღიაა თქვენთვის!...

საკვირველი კაცია ე ბიძა ჩემი! რა გასაოცარია, ან გასაკვირცხი, რომ ს—მა არ იცოდეს, ან განგებ არ უნდოდეს ცოდნა, რომ თვატრი სხვას უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს, ვიდრე უნივერსიტეტს მოუტანია ამ ექიმისათვის. მე ისეთი ექიმიც ვიცი, რომ უარ იცის ჰამლეტი“ - „რამერა თუ გამოეღია...“ და ისეთიც, რომელიც „კარგად აღარ ახსოვს, „ჰამლეტი“ გ. ურისთავის დაწერილია, თუ რატომაცისა და მახზობისაგან გადმოთარგმნილი“ ამ ფაქტების შემდეგ ვთხოვ ბიძა ჩემს გულის წყრომით აღარ მოგპურას ბ-ნს ს—ვს. მოვიგონოთ, რომ „ზოგნი კანონების გატეჯ დგანან.“

რადგან თვატრზე ამოვიკითხეთ ორიოდ სიტყვა, ბარკი დრამატ. საზოგადოებასედაც ამოვწერეთ რამ.

„დრამატ. საზოგადოების კომიტეტი ფიქრობს, რომ „საზოგადოება“ დაანდა კომიტეტისათვის. ამას ამტკიცებს 1886—1887 წლის ანგარიშით, თუ შეიძლება ანგარიში დავარქვათ, იმ ორიოდ სიტყვას, რომელიც კომიტეტის წევრთ აღიარებს კომიტეტისაგანვე მოწოდებულ „საზოგადოებას.“ რადაც უკატინსე

წაიკითხეს, რომ ამდენი შემოვიდა, ამდენი დავსარჯეთ ამაში და ამაში და „კიდევ 300 მან. წვრილად დანისარჯაო (!?) და ის კი არა თქვეს რაში დანისარჯაო. ამაზე ერთმა დამსწრეთაგანმა მოახსენა: რადგან თქვენი ანგარიშიდამ მარტო ისა სჩანს, რომ ფული დავისარჯაოთ და ის კი არა—რაში, ამისათვის უნდა ამოიწიოს რამდენიმე პირი, და მიენდოს გამოკვლევა ამ ბუნდით ნაჩვენები ხარჯისა და ურთო შედგენილი ანგარიშისაო.

... აქ უნდა მოგახსენოთ, რომ ღმერთმა დამითვაროს ვიზუდ-მე ვითეძრო სკლის მოთბობა, ან გაუფთხილებლობა, მაგრამ ეს კი მავკირებს, რატომ არ მოიხსენიეს რა შეიძინა „საზოგადოებაში“ ან უიღვით, ან კერძო პირთა შეწირულობით. ბუკრს მოესვენება, რომ იმ წელიწადს, რომელი სეზონის ანგარიშიც წარმოუდგინეს „საზოგადოებას“ დასამტკიცებლად, ფულითაც ბუკრი რამ იყიდეს და კერძო პირებმაც შესწირეს ზოგი ერთი რამ. რაკი გომიტეტმა არ ისურვა ვისიმე ამოწიევა საქმის გამოსარკვევად, ამისათვის ჩემის აზრით, საჭიროა, რომ მომავალ ანგარიშთან მიანც წარმოადგინოს შარშანდელი ხარჯის გამამართლებელი „დოკუმენტები.“ ამით აინცილებს იმ ეჭვს, რომელიც ზოგიერთებს ჩაუვარდათ გულში. დაწმუნებული უნდა იყოს გომიტეტი, რომ მომავალ ანგარიშამდე, ყველას, საქმის ასლო მდგომ პირებთან კი, დაავიწყდებათ თუ ამ ორი წლის წინად რაში რა დანისარჯაო. მასა სხადმე, ადვილი იქნება „დოკუმენტების“ შედგენა...

რა დაუდგარია ე ბიძა ჩემი! ხომ ახსოვს, რომ გომიტეტის ერთმა წევრთაგანმა თქო: „რა მოგობარებით, რომ ანგარიშს გუთხოვთ“ ... ჩვენ ის დავსარჯეთ, რაც ჩვენვე ვიმოგუნეთ.“ მართალიც არის: ბაღი გომიტეტმა განაჩათა—ბაღიდამ შემოსული ფული გომიტეტმა დასარჯა; წევრებისაგან შეტანილი ფულები გომიტეტმა მიიღო—ამ ფულებს გომიტეტმავე გაუჩინა ადგილი. მას რაღა უნდა ე ბიძა ჩემს?

ექვთიმიაძე.

ახალი ამბები

წერა-კითხვის გაჩაგრელებული საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნული ლატარია-ალეგრი იჭნება დღეს 22 მაისს.

წელს უსრულდება ზატეგეშელს ზროფესორს დ. ჩუბინაშვილს 50 წ. ნაყოფიერის ძოღვაწეობის სალიტერატურო ასპირანტი. შევიტყუთ რომ მომავალ შემოდგომაზე პ. ჩუბინაშვილი მობრძანდება თბილისში.

თავად-აზნაურთა საადგილ-მამულთა ბანკის წლიური კრება დიწყობა 14 და გათავდა 18 მაისს. კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში.

სხვათა შორის კრებამ გადასწვიტა გაზ. „მეურნის“ რედაქტორს მიეტყეს თვეში სუთი თუმიანი.

18 მაისს იყო არჩევანი ბანკის გამგეობის თავმჯდომარისად არჩევანმა დიდი ყაყანი გამოიწვია. კრებამ თითქმის ერთ სმად მოითხოვა რომ ისევე თ. ი. ჭავჭავაძე დარჩენილიყო თავმჯდომარედ და კენჭი არ ჩამოეტარებინათ. მაგრამ თ. დ. ერისთავმა ბანკის კენჭი ჩამოეტარეთ, ან არა და „ბროტოკოლში“ ჩაწერეთ, რომ ერთ სმად არ არის ამოწმებული. დადგეს საარჩევანო ყუთები და 122 კენჭიდან მარტო 9 აღმოჩნდა წინააღმდეგ ამოწმებისა...

ზოგი ერთების ცდა ახლაც უნაყოფოდ დარჩა და სჯობს, რომ თავს უჭინაობას თავი დაანებონ.

დიდუბის ახლად რომ სვრელები გამოჩნდა, ქალაქის ინჟინერებს გაუშინჯათ. აღმოჩენილად, რომ როდისდაც იქ „საპიორნის კამანდა“ მდგარა და იმათ გაუთხრათ ის სვრელები.

ოთხშაბათს 18 მაისს, ქართული დრამატ. საზოგად. დასმა სახელმწიფო თეატრში, წარმოადგინა ბ. ნი ა. ცაგარლის ახალი

პიესა: „ციმბირელი.“ წარმოდგენამ ერთობ რიგიანად ჩაიარა, თუმცა როლები ისე არ იყო განაწილებული, როგორც უნდა ეოფილიყო. სასოგადოებამ ავტორი რამდენჯერმე გამოიწვია და... ტაშის კერით დააჯილდოვა... პიესის შინაარს შემდეგ №-ში გაგაცნობთ მკითხველებს. წარმოდგენაზე, (თუმცა სოფი ერთი გასეთები ამობენ, რომ საღისე ბლომად დაესწრო), ძალიან ცოტა მყუერბელი დაესწრო. ბევრი მივიდა ბანკის თეატრში და იქიდან გამობრუნება აღარ ისურვა, ბევრი შინ დაბრუნდა. ისეთებიც იყვნენ, რომ ფორკატის კასსაში ნაყიდი ბილეთებით მივიდნენ სახელმწიფო თეატრში და, რადგან იმ ბილეთებით არ შეუძევს, დაბრუნდნენ, ფული ისევ დაბრუნეს და მეორედ მოვიდნენ „ციმბირელის“ სანახავად.

ეს რამდენი წელიწადია რაც ქართული წარმოდგენები ბანკის თეატრში იმართება. წარსული და შარშანდელი სეზონები ქართულმა დრამატ. სასოგადოების დასმაც იქ გაატარა. ესლა კი რაღაც ორიოდ წარმოდგენის გამართვა განუხრანსამ კომიტეტს და პირველივე წარმოდგენა სსკ თეატრში გამართა!

ამ კვირის ორშაბათის წვიმებმა დიდი ზარალი მისცა თბილისელებს. მტკვარი ადიდდა და ბევრი ტიუები მოიტარა. რიყიდან სამი წისქვილი მოგლიჯა, დანარჩენებს ბორბლები დამტვრივა. ერთი წისქვილი ავლაბრის სიდის ქვეშ დამტვრივა. რიყის სასლების დაბლა სართულები აივსო წყლით. ორთაჭაღის ბაღებში გადავარდა და ნაპირის ბაღები მთლად წალევა და „ბესედეკები“ დაგლიჯა. ორთაჭაღის ფიჭვის სიდი მოგლიჯა. ერთი მქანგლე დასწრო.

როგორც ქსანიდამ გვატყობინებენ გედეკანოების «შარომის» მუშაობა შეუყენებიათ: «შარომი» ცალ მხარეს არის მიბმული და ხალხი აღარ გაქვავ-გამოჭვავთ; რადგან მტკვარი ძალიან ადიდდა ეშინიანთ არ მოიტაროსო.

როგორც ლაშარაკობენ რიყიდან მოტარებული ორი წისქვილი ნათლუხის პირ-და-პირ, სავასბოებთან, გაურყევს.

გამომძიებელი სოსროკვის საქმის განხევა, რომელსაც მირომანოვის სასლის ცეცხლის მოკიდება ჰბრალდება, დაიწყო სუთმაბათის, 19 მაისს.

გან. „მეურნის“ რედაქციამ დააბეჭდინა პატარა წიგნაკი „ვანის ობსე“ და წარსულს პარასკევს დარგდა გასასყიდად.

ბ. აღნიაშვილის სოროს სასარგებლოდ დანიშნული ფერის „ყარამანი“ იქნება წარმოდგენილი ორშაბათს 23 მაისს.

როგორც შევიტყუთ ფრიად დახელოვნებული და ქართული სტენისათვის საჭირო არტისტი-ქალი ლეონიძის, სტენას საუკუნოდ თავს ანებებს. თიბათვის პირველ რიცხვებში იქნება უკანასკნელა წარმოდგენა ლეონიძის მონაწილეობით. იმედია საზოგადოება უუფრადლებოდ არ დასტოვებს ამ ამბავს და ღირსეულად დაუვიდლოვებს რამდენიმე წლის განმავლობაში ერთგულად მშრომელს არტისტ-ქალს.

ძალიან ძნელია თურმე, როდესაც სერგუა ბიჭი, სერგუით გადაიქცევა. ამის მაგალითი სულში გვაქვს. ადელხანოვის ნოქარმა არუთინოვმა, იქამდინ მიიფვანა ქარსანაში მომუშავენი, რომ სუთმაბათს, 19 მაისს, აიღეს სული მუშაობასე და ანგარიში მოსთხოვეს ბ-ს ადელხანოვს.

წინადაც ბევრი რამ შემოუჩივლიათ ამ ვაჟ-ბატონსე, მაგრამ სასხარი არა გვაქონდა გამოგვეჭეუენების ამ სერგუა ბიჭის ამბები... ესლაც უადგილობის გამო იძულებულნი ვართ შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი შემდეგ №-დის; იმ №-ში კი მოვიხსენიებთ, ამ ვაჟ-ბატონის მეტად თავ-გასულაობის დასამტკიცებლად, რამდენსამე ვაქტს.

არტისტების სოლჰრობა.

ფრანგულიდან ნათარგმნი. მოთხრობა ალფონს დოდესი.

როგორ არ უნდა შევყვარებოდით ერთმანეთი? ლამაზნი და სახელ-განთქმულები იყვნენ. ორივენი მუდამ სალამოს



ერთად მღეროდნენ და ამდენს ხანს, ოთხ-ხუთ მოქმედებიან ოპერებში, თითქმის ერთგვარი ენებითა და ლელვით საესე სიცოცხლეს ატარებდნენ. ცეცხლთან ახლო ყოფნა ხუმრობა არ არის. როგორ მოხერხდება, რამ თვეში ოცჯერ ეუბნებოდეთ ერთმანეთს „მიყვარხარო,“ თან ამ დროს მოგესმოდეთ სასიამოვნო და ნარნარი ხმა სალამურისა და ჭიანჭურისა, და არ გაგიტაცოთ საკუთარის ხმის სიტკბოებამ. სოტ-ცოტათი ენებამ შეიპყრა ორივენი. ტკბილი და მწყობრი მუსიკა, სასიამოვნო წყობილ-სიტყვაობა, მდიდრული ტანთსაცმელი, დეკორაციები, ყველაფერი სიყვარულის ნეტარებას უღვიძებდა ამ ორს არსებას. ეს გრძნობა ქურდულად შევპარათ ერთს ბრწყინვალე და ნაზის ხმებით საესე ღამეს, როდესაც მლზასა და ლონგრინს თამაშობდნენ და ერთი მეორეს იწვევდა.

„მოდო და დასტკბი მომხიბლავის სურნელებითაო.“

ეს გრძნობა აიპარა იმათთან თეთრ სვეტებ შუა კაბულეტების მოაჯირზედ, სადაც მიჯნურობის ეშხით გატაცებულს რომეოსა და ჯულიეტას დილის რიყ-რაცხა უეცრათ მოასწროთ და ცისკარმა ტრედისფერი ნათელი მოჰვინა.

„პრა, ჯერ გათენება შორს არის, ტოროლასაც კი არ დაუძახნია!“

ამ გრძნობამ სრულიად შეიპყრა გული მარგარიტასი და შაუსტისა მაშინ, როდესაც ბადრის მთოვარის სხივება წავიდნენ, გაიარეს ბაღის კარი, მერე გაიფანტნენ ვარდისა და სვიის ბუჩქებში და შეიხედეს იმ პატარა ოთახის სარკმელში, სადა ერთი უმღერდა მეორეს:

„ღამაცადე, მომეც ნემა გუმზირო შენს სიტურფესა.“

მალე მთელმა პარიჟმა შეიტყო მათი სიყვარულის ამბავი და გულს-მოდგინედ აღევენებდა თვალ-ყურს. იმ სეზონს მარტო იმათზე იყო ღაპარაკი. ქველანი მოდიოდნენ, რომ დამტკბარიყვნენ იმათის სიმღერით და ამ ორის ბრწყინვალე ვარსკვლავის ხილვით. მრთს საღამოს, როცა აღტაცებულმა საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის კვრით გული იჯვრა,

ფარდა ნელ-ნელა დაეშვა; ფარდამ განაშორა აღელვებული დარბაზი და თაიგულებით აღესილი სცენა, რომელზედაც თეთრი ტანთსაცმელი ჯულიეტასი დაფრიალებდა ყვავილებ შორის. ბოლოს, როცა მომღერალნი გამსჭვალა სიყვარულმა, რომელიც აქამდე მორცხვ ქალივით თავს იმალიადა, თითქო დღევანდელს გამარჯვებასა და ძლევა მოსილობას ელოდაო, — რომეოსა და ჯულიეტას მოთამაშენი გადაეხვიენ და დაჰკოცნეს ერთმანეთი. ხან ბრძლივმა და განუწყვეტელმა „ბრაეომ“ დააგვირვეინა მათი ფიცი. დასასრულ ეს ორი ფარსკვლავი შეიქმნა ერთ სულ და ერთ ხორც.

ქორწილის შემდეგ რამდენსამე ხანს არ გამოსულან სცენაზედ. მერმე, როდესაც ხელ-ახლად დაუბრუნდენ სცენას, ისევ ერთად გამოვიდენ სამღერალად. ამ საღამოს საზოგადოებას დიდი მღელვარება დაეტყო. აქამდისინ ორ მომღერალ შუა პირველობდა კაცი. ამას, ვითარცა გამოცდილსა და ხნითაც უფროსს, კარგად ჰქონდა გაგებულო, რა უფრო მოსწონდა საზოგადოებას, და ამის გამო სრულებით მოიხმხრო და მოინადირა მსმენელი და მაყურებელი. მის გვერდით ქალი უფრო შევირდსა ჰგეანდა, ვიდრე გამოჩენილ მომღერალ ოსტატსა, თუმცა კი ეტყობოდა, რომ შემდეგში გენიოსი არტისტი ქალი დადგებოდა. მისი ხამი და ნორჩი ხმა ჯერ საკმაოდ არ მოტკბილებულიყო და მოქნილიყო; არ დაჰსრულებოდა გამხდარი და პაწაწინა მხრებიცა. ქორწინების შემდეგ ქალი რომ გამოვიდა ერთს თავის წინანდელ როლში და მისი ნაზი, სრული, მშვენიერი, წმინდა ხმა რომ გაისმა დარბაზში ეგრესხლის ზარის წკრიალსავეით, საზოგადოების ვაკვირებასა და აღტაცებასა არა ჰქონდა სამზღვარი, ასე რომ მთელ საღამოს მაყურებელნი მარტო ამ ქალს აქცევდენ ყურადღებას. ახალგაზდა ქალისათვის ეს წუთი იყო ერთ იმ ბედნიერ წუთთაგანი, როდესაც გგონია, რომ მთელი ქვეყანა შემოჰხარის შენს გამარჯვებასა და თვით არე-მარე ქება-დიდებას უგალობს. რაც შეეჭება ქმარს, ის თითქმის დაივიწყეს, — ერთი ტაშიც არა ჰრგებია. როგორც მზის სხივს აედევნება ხოლმე აჩრდილი, ისე ამღერალიც

მეტ-კაცსავით დარჩა შეუმჩნეველი სცენის მიზნებულ კუთხეში.

მერე ვინ იყო მიზეზი ქალის ამ საკვირველის ცვლილებისა? მინ აღუგზნა ის ცეცხლი, რომელიც ლამპარივით ბრწყინავდა მის მშვენიერ თვალებში? მინ მისცა მის ნორჩ ხმას ძალა სინაზისა და სინარჩარისა! რასაკვირველია, ქმარმა. იგი იყო მიზეზი ამ საკვირველის ამბისა და თავიც ამით უნდა მოეწონა, მაგრამ არტიტის ცუდ-მედიდობამ სძლია. წარმოდგენის შემდეგ დაიბარა „კლაკიორთა უფროსი (*), და ძალიანაც გაუწყრა—რატომ არ მიაქციეთ ყურადღება ჩემს გამოსვლას, არ დამიკარით ტაში, როდესაც სცენიდან გავდიოდი, და სრულიად დაივიწყეთ ჩემი გამოწვევა, მესამე მოქმედების შემდეგო. არტიტი ემუქრებოდა ღირექტორთან დავაბეზღებთო. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მერც კლაკიორების ცდამ და ვერც მისმა მუქარამ ვერა გააწყურა. ბურთი და მეიდანნი გამარჯვებისა სამუდამოდ ცოლს დარჩა. საზოგადოება მარტო იმას სცემდა თაყვანსა. ბედზედ ქალს ისეთი როლები შეხედებოდა ხოლმე რომ მისის ნიჭისა და სილამაზის შესაფერი იყო. სცენაზე გამოდიოდა გულ დამშვიდებული, იმედითა და თავმოწონებით სავსე, როგორც მაღალ საზოგადოების ქალი, ბალში მიმავალი მშვენიერის ტანთსაცმელითა და დარწმუნებული, რომ იმ საღამოს იქნება ვარსკვლავი მთელის კრებისა. შოველი მისი გამარჯვება გულში ნესტარავით ჰხედებოდა ქმარს. ამის გამო წინანდელი სახელოვანი არტიტი, დღეს დაღვრემილი, ბრაზიანი და მოუთმენელის ხასიათისა შეიქნა; ვერას გზით ვერ იშენია, რომ შრომით და ჯაფით მოხეცილი სახელი დღეს ჩამოერთვა და ცოლმა დაიმკვიდრა, სამუდამოდ დაინარჩუნა. ეს ამბავი ქურდობად მიანხნდა: სხვამ მომპარა ჩემი სახელი, და დიდებოა. ღიღს ხანს ჰმალაედა ყველასაგან და მომეტებულად თავის ცოლისაგან ამ ტანჯვასა, რადგან სირცხვილი იყო გამხილება. მეტი გზა არა ჰქონდა, გულში უნდა ჩაეკლა ეს დარდი. მაგრამ ერთს

*) დაქირავებული ტაშის დამკვრელი.

სალამოს, როდესაც ქალი აღიოდა კიბეზედ, ყვაილებითა და თაიგულებით შემკული და გამარჯვებით დამთვრალი, ქმარს უთხრა სინარულით: რა თავაზიანი და ზდილობიანი საზოგადოება იყო დღეს თეატრშიო. ქმარმა მიუგო: შენ აგრე გგონია. ისეთის ხმითა და კილოთი სთქვა ქმარმა ეს სიტყვები, ასეთი სიმწარე და ნალველი შეეტყო და თან ისეთმა დაცინვის ღიმმა გადაჰკრა სახეზედ, რომ ახალგაზდა ქალი უცბად გონს მოვიდა და იგრძნო, რას მოასწავებდა ყოველივე ესა.

(დასასრული იქნება).

† 3. ნ. ანდრეევ-ბურლაკი.

რუსეთის პროვინციის სცენისათვის დიდი დანაკლისია ძაზანში გარდაცვალებულის არტისტის ანდრეევ-ბურლაკის სიკვდილი. ბურლაკი ჯერ ორმოც-და-ათის წლისა არც-კი იყო; დაუყოვნებელმა აქეთ-იქით სიარულმა, ერთის ალაგადგან მეორეში გადახიზნვამ, დაუდევნელმა ცხოვრებამ და სამუდამო ზრუნვამ ლუკმა-პურზედ, ბოლო მოუღო ამ ნიჭიერს ედამიანსა.

ანდრეევ-ბურლაკს თითქმის მთელი რუსეთი იცნობდა. მინ იცის, თავისს სიცოცხლეში სად არა ყოფილა, სადა არ უჩვენებია თავისი ნიჭი! ძვეკასიაშიაც რამდენჯერმე იყო. ზანსვენებულს დიდი ნიჭი ჰქონდა კომიკურს როლებში და ამ მხრივ საუკეთესო არტისტად იყო ყველასაგან აღიარებული.

ზოგიერთმა როლმა, მაგალითებრ, როლი „სნასტილიცევისა“ მსტროვსკის „ტყეში“, იუდუშკასი „ბოლოვლევის ოჯახში“, პოპრიშინისა ბოგოლის „შეშლილის წერილებში“, ბოროდნინისა „რევიზორში“ და ბევრმა სხვამ, არტიტობის სახელი გაუთქვა მთელს რუსეთში და საზღვარ-გარეთაც.

ანდრეევ-ბურლაკი ამას გარდა სწერდა კიდევ; ნაკითხი კაცი იყო და განათლებული. არა ნაკლებ მოსწონდა იგი საზოგადოებას სცენების კითხვაში. თავისგან დაწერილი სცენები, განსვენებულმა ცალკე წიგნადაც გამოესცა. მრთს ღროს ბურლაკმა ოდესში დაიწყო ლექციების კითხვა დრამატულს ხელოვნებაზე, მაგრამ ამ საქმეს ბოლო ვეღარ მიაღწენა და თავი დაანება. ზანსვენებული მომავალ სეზონში თბილისში აპირებდა მოსვლას;—მაგრამ მუხთალმა ბედმა უმტყუნა.

ა ლ დ გ ო მ ი ს წ ი ნ ა დ.

(პატარა სურათი).

ღიდ ხუთშაბათ ღღეს ვიჯექ ჩემთვის ბუხარაან მიყუ-
ჟული. მწარე ნაღველი ტრიალებდა ჩემს გულში, რო სააღ-
დგომოდ ჩემთვის ახალი ტანისამოსი არა მზადდებოდა-რა.
სიმწარით ხელებს ვიფშენეტდი და ბუხარში მუგუზლებს ვუ-
ჩხიკინებდი. ღედაჩემი კი იქაე ახლოს ტანტზედ იჯდა და ჩემს
ღას ტასოს კაბას უკერაედა. ტასოც ხელებში შესცეცებოდა
და თანაც ჰშველოდა კერვასა. მამაჩემი კი ლუარსაბ მათქა-
რიძესეებ გაბერილიყო, დინჯად ტანტის ბოლოს მუთაქაზე
წამოწოლილი ჩიბუხს აბოლებდა. მე ძიელ გული მომღიო-
და, რომ ტასოს კაბას უკერაედენ და მე კი არა. „მუ კი
ტასოსთვის გამოჩნდა ფული, რატო ჩემთვის კი არა მეთქი,“
ამ ფიქრებში ვეყავი გართული, როცა ღედაჩემმა ღამი-
ყვირა.

— აღე, ძოტე, ბოსელში ჩადი, ბიჭს ღამიძახე! მე ცოტა
არ იყოს, ღამეზარა. მერე მამაჩემმა მითხრა:

— აღე, გენაცვა, შვილო, იქნება ღღეს გაჩნღეს საიღან-
მე ის ჩენნი ღიტორა და ფულები მამიტანოს. მ ურიებს აგე,
ზემო-უბანში აქვთ ბოხჩა გაშლილი, ხალათს და შარვალს
შეგვიკერაეთ. შიქრი ნუ გაქეს. აღე, დაუძახე ბიოს, შვილო!
მე უცბად წამოეხტი, ღეზაზედ ბოსელში გაეჩნდი, ჩენ მო-
ჯამაგირე ბიოს გადაეგხეე და უთხარი:

— მეც ვიკვრავ ახალ ტანისამოსს სააღდგომოდ, ეხლა მამაჩემმა მითხრა! წამო, ზიო, დედაჩემი გეძახის.

— რაღა მინდა, თქვენ დაიკვრეთ ახალი ტანისამოსი და მე კი გვერდებში გამიჯდება! შემომიტია ზიომ. ეს სატიელო ახალუხი ლუკმა აღარ მაცვია, ე ოხერა ქალამნებიც ლამის ფენიღამ დამცივდეს, ე ვერანა პერანგია და სუ შემომგება ტანზედ. ნეტაი დედიჩემის ყოშებსა, არა!? ამ სიტყვებით ზიომ ჩაიარა ბოსლის ბოლოში საქონლის ასაშეგებად. მე კი ქვა ნაკრავივით გამოვედი დაღონებული.

შევედი შინ ჩიჩვირ დაშვებული. დედაჩემმა დამინახა თუ არა, შემამიბუხუნა:

— რა ღმერთი გაგწყრომია ბაჰო, რას დაღრეჯილხარ, ჰა, შე, არ გასაშეგბო!! მერე მე ხმის კანკალით მოუყე ზიოს ნათქვამი. ამ დროს კარებში შემოჰყუ თაეი ჩვენმა ლიტორამ, მამაჩემმა თვალთ მანიშნა.

— აგერ, რო ვთქვი მოვა მეთქი! მანა არა, სატიელო საამური მარცხენა თვალი მითიმაშებდა დღეს. აგერ ამიხდა...

ლიტორა იყო ჩვენი დიდიხნის მეცხვარედ ნადგომი ოსი. როცა ცხვარი გაგვიწყდა, ისიც ჩვენგან გავიდა. ლიტორამ გუდიდგან ამოალაგა ორი ბუმბულა ყველი, ერთი ხაჰაპური, ორი ხმიანდი, ჩარეჰა არაყი და თანაც დაუმატა:

— თქვენი ცოდო არა მაქვს, ბატონო, და ღეთის რიხსვა, რო ეხლა წველა არ არი, ჯერ ბალახიც არ მოსულა რიგიანი და მალიც არის, თორემ ესე ცოტა ყველს არ მოგართმევდი, ფულიც მოგართვი, ცოტა კიდე დამიკლდა და უნდა დამაცადო, სენი წირიმე. მე სიხარულით გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ლიტორამ ამოიღო ჭვარტლის ფერი ხელსახოცი და ხუთად გამოკრულ-გამოკეანძული ძლივს გამოხსნა; რვა მანეთი ფული მიუთვალა მამაჩემს. ტასომ წამკრა კისერში:

— მოგიკედეს თაგი, ეხლა ხომ შეიკვრამ ტანისამოსსა.

თვალეზიდგან ბრმად დგებოდი, რაღაც ერთი პრანწვი კაბა შევიკრე. სიხარულით გულად გადაქცეულს ორი კაი

მოზდილი ცრემლი გადმომცვიედა თვალთაგან. დავიწყე ბზუ-
კუნი. მერე მამაჩემმა მითხრა:

— ბაიქე, შეილო პოტე, ურია მოარბენე. მე ორ
წამზე გაეჩნდი ზემო-უბანში, საცა ურია ის იყო ჰკრავდა ბო-
ხჩებს. ზამოუძენ ურიას და მოვიყვანე სახლში. ტახტის წინ
გაშალა ბოხჩა. მეც გვერდზე მოვეუსკუბდი. ამ დროს შემო-
ვიდა ბიო. დედაჩემმა ჯავრობა დაუწყო:

— შე, სიყმე ბნელო, რატო არ ამოშავდი წელან,
ღედლიანთსა უნდა გამეგზავნე. ბიომ დედაჩემს საყვედურით
უპასუხა:

— რო არა მაცვია რა, ბოსლიდან ველარ გამოვდივარ...
შე წამოვხტი და მამაჩემს მიეუახლოვდი, თან ბოზედ ვანი-
შნე დარგჯით... მამაჩემი მიმიხვდა, თქმა აღარ დამაცადა
და დედაჩემს დაუძახა:

— მელანო, ე ბიქისტვინაც აიღე ერთი სახალუხე და
საპერანგე! მითი შევხტი სინარულით, — დილილ მე! ბიოსაც
ეცმება აღდგომას ახალი და მეცა მეთქი; ისეე ბოხჩას მიეუ-
სკუბდი. დედაჩემმა ბარემ ჯავრობა დაიწყო, მაგრამ მაინც
გვიყიდა მე და ბიოს რაც გვინდოდა. ურია წავიდა, ლიტო-
რაც კარგა შეზარხოშებული გაისტუმრა მამაჩემმა. მე და
ბიომ გავკარით ბოსელში. ბიო სულ ღილინებდა და ისე უე-
ლიდა საქონელს. მეც ბანს ვაძლევდი. აგერ გავვითავეს კი-
დეც ტანისამოსი. შაბათი საღამოა. დედაჩემმა შემოდგა ქვა-
ბი ცეცხლზედ კვერცხების დასაღებავად. ძვერცხები ამოთვა-
ლა დედაჩემმა კალათიდან; ოთხმოცი კვერცხი შეღება ენდ-
როში და ხუთი კვერცხი მე გადმომიწყო; ცოტა არ მექა-
შნიკა. ძვევითა ტუჩებმა ცახცახი დამიწყო სატირლად. ამ
დროს შემოვიდა მამაჩემი ბოსლიდან — ხელ სისხლიანი, ბატ-
კანი გაეკეთებინა. მე დამიძახა; დაუწყო დედაჩემს ჯავრობა:

— ადამიანო, ე ბეშვის ტევა რად იცი! რისთვის არის
გაბუტული? მამაჩემმა ხელები გაღიბანა, მომეხვია, ერთი ჩამ-
კოცნა და მითხრა:

— მითხარი, გენაცვალოს მამა, ვინ გაგაჯავრა! მე კვერცხებს გადავხედე. მამაჩემი მაშინვე მიმიხვდა. მოიტანა ბალიათი კვერცხები და ხუთი გადმამიწყო.

— ეს ჩემი წილი და ხვალ კიდევ მოგცემ. ღედაჩემმა შემოუტია:

— მგრე იცი მაგის ტყლარქვა და ვერ არი თავ გასული? რო ეიხრჩობოდეთ, წყალს არ მოგვაწოდებს ხოლმე...

მე გავიღიმე, როცა ათი კვერცხი ჩემ პაწია კალათაში დაეაბინავე. შემოვიდა ბიო, შემოიტანა ბატკანი გაკეთებული. ახლა ის შეიღვა ცეცხლზედ მოსახარშად. მე ბიოს კალათა ვუჩვენე კვერცხებით და თანაც მამაჩემს შევხედე, რომ ბიოსთვისაც მიეცა. მამაჩემმა ბიოსაც მისცა რვა კვერცხი. ბიომ ღრეკით გამოართვა. მამაჩემმა ამოიღო ჯიბიდან ხუთი შაური ფული და მისცა ბიოს.

— აჰა წაიღე ეს ფული ღედელთან. ორი სანთელი ორ-შაურიანი გამოართვი და ერთი შაურისაც წვრილები. მეც მოვემზადე წასასვლელად. მრთი დავიღრიჯე და დაუწყე მამას ცქერა, რომ ბიოს წავეყები მეთქი, მამამ ნება დამართო და გავეყე ბიოს უკან. ზამოვართვით ღედელს სანთლები და მოვიტანეთ შინ. ორ-ორ შაურიანები ტასომ და ღედაჩემმა აიღეს, მე კი წვრილი სანთელი მომცეს, ეს მე არა მწყენია. მე და ბიომ დავილაგეთ სანთლები სარკმელში და ჩავწექი ლოგინში. ტასომ თმის დაკულულება დაიწყო. მე ძილი არ მეკარებოდა, წამ-და-უწუმ სარკმლისკენ ვიხედებოდი: გათენებამ ხომ არ მოაწია მეთქი... ყველანი დაწვნენ. ღედაჩემმა და მამაჩემმა ხვრინვა ამოუშვეს. ტასოს და მე არ დაგვიძინებია. ტასო თუმცა დიდი იყო, მაგრამ ბედნიერი დღის გათენება იმასაც ეშურებოდა. ზაიარა რამდენიმე ხანმა და მამალმა იწყო ყივილი. მე წამოვდექი და დავიწყე ჩუმად ტანისამოსის ჩაცმა. ტასო მეუბნებოდა:

— ნუ იცვამ, გენაცვალე, ჯერ ადრეა! მაგრამ მე რალა დამაწვენდა. ბავათავე ჩაცმა და ყველანი აიშალნენ.

ჩამოჰკრეს ზარი. პატარა ხანს უკან მე და ბიო საყდარ-
ში სანთლებ ანთებული მხიარულად ვიდექით. აგერ დედა-
ჩემი და ტასოც შემოვიდნენ მორთულები. მამაჩემი კი შინ
დარჩა არზენად. რად?—მეც არ ვიცო.

ღის ჩერქეზიშვილისა.

წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი

(საეულისხმო)

(ბერძნების ცხოვრებიდან).

ეზამინონდს უნდოდა დაესაჯა ერთი ვიღაც სალასანა კაცი.
შელოპიდა სოსოვა პატიველ. არ პატივა. შემდეგ მივიდა ვიღაც
საეჭვო ყოფა-ქცევის დედაკაცი და სოსოვა პატიველა.

„ამ გვარი საჩუქარი შეატერის ცუდი ყოფა-ქცევის დედაკაცს,“
შპანა ეზამინონდმა, „და არა ვარის უფროსს,“—და გაანთავისუ-
ფლა სალასანა.

ერთმა უცხოელმა ბეჭი უკადრისი სიტყვები უთხრა ღი-
ზანდრსა. „იარე მაგ გზით, და არ გადახვიო;“ უთხრა ღიზანდრ-
მა, „იქნება ბოლოს მიასწიო იქამდის, რომ დაიტალა მაგ შსა-
მიანი სიტყვებისგან, რომლებითაც შენა სარ გატივენული!“

შედარეთი არ ამოიჩიეს იმ სამასის რიცხვში, რომლებსაც
სასულმწიფოში საპატიო თანამდებობა უნდა სჭეროდათ. საზოგა-
დო კრებიდან ძალიან გასარბული გამოვიდა. ჭკითეს: რითი სარ
აგრე გასარბულიო?—„იმიითი, რომ სპარტაში, ჩემსე უკეთესი
სამასი კაცი კიდევ ყოფილან“ უზახუსა შედარეთმა.

რედაქტორი და გამომცემელი. ალ. ნემიერიძე.

Тип. Г. Чарквиани. Дозв. Ценз. Тифл. 20 Мая, 1888 г.